11. 76

ეშმაკი. თაგუნა

ეშმაკი

ფასი 1 მან. და 50 კაპ.

რვეული II. | თებერვლის 14. 1919 წ.

1148

ორგვარი გზობა

იერუსალიმში.

ხალხი (აღტაცებით) კურთხეულ არს მომავალი!...

ხალხი (გაბრაზებით) ჯვარს აცვ ეგე!

თბილისში.



ხალხი (უნდობლობით)?!..



ხალხი (აღტაცებით) კურთხეულ არს მიმავალი!

№ 14.

— ხმას ვაძლევ არა „შოთა რუსთაველის ჯგუფ-პარტიას“, არამედ „პატრიოტების ესთეტიურ ლიგას“!

ამას ვაცხადებ საჯაროთ და გადაჭრილათ შემდგომათ დიდი სულიერი ბრძოლისა და შინაგანი რყევისა.

მაპატიონ ევგენი რუსთაველმა და შოთა დვალმა. მაგრამ მათი სია უნდა ჩამოდგეს წინაშე პატრიოტ-ესთეტიკოსთა სიისა!

ღმერთმა დამიფაროს! მე იმის თქმა როდი მინდა, თითქო ევგენი დვალი პოეტურ ნიჭით ჩამოუვარდებოდეს ესთეტიკოსებს, ან კიდევ უკასკნელნი პოლიტიკურ მოღვაწეობის ფარგალში სჯობნიდენ პირველს! დამიფაროს ღმერთმა!

ჩემი შინაგანი ბრძოლა და ასე ხანგრძლივი ყოყმანი სწორეთ იმ გარემოების ბრალია, რომ ორივე სიის წარმომადგენელთა ნიჭიც და პოლიტიკური პროგრამაც თანაბრად უნაკლოა, - აქ უპირტესობის მინიჭება ამა თუ იმ სიისათვის შეუძლებელია და არჩევანიც ამის გამო გამიძნელდა ეგრე რიგათ.

მაგრამ სხვა დანარჩენ თანასწორ პირობათა შორის ერთი თვისება ისეთი აღმოაჩნდა პატრიოტ-ესთეტიკოსებს (განსაკუთრებით ორ მათგანს— ყანწელებს), რომ საკითხი ხელად მათ სასარგებლოთ გადაიჭრაა.

ეს თვისება გახლავთ უაღრესი სიმორცხვე, რომელიც ქალწულის კდემამოსილებას უდრის.

სიმორცხვე გახლავთ საუკეთესო სამკაული ნიჭისა და ისე ამშვენებს მას, როგორც ოქროს ბუდე პატიოსან თვალს.

და აი ეს სიმორცხე და თავის დამცირება ახასიათებს პატრიოტ-ესთეტიკოსების სიას

ამა თუ როდისმე გაგგიონიათ თქვენ მათგან ან მეტიჩრული თავის ქება, სხვისი ლანძღვა-გინება, ტრაბახობა, აბეზარული ხმაურობა და უადგილო პაქიაობა!

მორიდებულათ და ფეხაკრეფით გამოვიდნენ ისინი სამწერლო ასპარეზზე და მათმა უპრეტენზიობამ ერთ წუთს მოინადირა ყველას გული. როგორც უმანკო ქალწულები, ისე წათლდებიან, როცა ქებას დაუწყებს ვინმე და ცდილობენ სხვა რაზედმე გადაიტანონ ლაპარაკის საგანი.

ეს მშვენიერი თვისება ბავშობიდან თან სდევს მათ და, მართალი უნდა ვსთქვათ, ზოგჯერ სჩაგრავს კიდეც და ხელს უშლის ამ უზომოთ მორცხვ ახალგაზრდებს.

როგორც წიწილა ქორს, ისე ემალებიან და გაურბიან სახელსა და პოპულარობს და თუ მაინც პირველი ადგილი უპირავთ ქართულ პოეზიაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი ნიჭის „შადრევანობით“ უნდა აიხსნას: სწორეთ ამათ ნიჭისთვის ითქმის ის, რაც ანდაზაში ჭირისთვის არის ნათქვამი:

— ყანწელმა ნიჭი მალა, მაგრამ ნიჭმა თავი არ დამალაო.

და განა მარტო მწერლობაში სჭირთ ეს გადაჭარბებული კდემამოსილება! აიღეთ თუნდა სამხედრო სარბიელი.

ყველას მოეხსენება ჩვენი მთავრობის სიძუნწე საომარ ცნობათა გამომჟღავნებაში. ზოგჯერ ისე ჩაივლის ომი, რომ „ფართო მასამ“ არა იცოდა მის შესახებ. ჩვენ, თბილელები, ამ მხრით ბედნიერ გამონაკლისს შევადგენთ, რადგან მთავრობის ასეთ დაუდევრობას სრულიად ასწორებენ ყანწელი ესთეტიკოსები.

როდესაც თბილელ მოქალაქეს უნდა გაიგოს, ამ ჟამათ აქვს თუ არა საქართველოს ვისთანმე ომი, „ძმურ ნუგეშში“ შეიხედავს ხოლმე: თუ ესთეტიკოს-ყანწელებს პარტიკულარი ტანისამოსი აცვიათ— ეს იმას ნიშნავს, რომ კაცთა შორის მშვიდობა არს სრული, ხოლო თუ სამხედრო სამოსელი აცვიათ და იარაღში არიან ჩამსხდარნი—ომია!

და ვიდრე ომი სწარმოებს, ესთეკიკოსებიც კეთილ სინდისიერათ ატარებენ ხმალ-ხანჯალს „ძმურ-ნუგეშში“ და შეწყდება ან გათავდება თუ არა ომი, ისინიც ხელად გაიხდიან სამხედრო ტანისამოსს და სამშვიდობოში გამოეწყობიან.

იქნება მკითხველს ის გაუკვირდა, რომ ჩვენი ყანწელი ესთეტიკოსები „ძმურ-ნუგეშში“ იხდიან საომარ ბეგარას და არა ბრძოლის ველზე.

მაგრამ აქ არ უნდა დაივიწყოთ ყანწელ ესთეტიკოსთა ძირითადი თვისება, უაღრესი სიმორცხვე.

ბრძოლის ველზე თუ არ მიდიან—ეს იმავ საოცარი სიმორცხვის ბრალია.

ისინი დარწმუნებულნი არიან, თუ ბძოლის ველზე წავიდნენ, უფუოდ ისეთ გმირობას ჩაიდენენ, რომ ძალაუნებურათ ქვეყანა აყაყანდება და ახმაურდება; როგორც მოგეხსენებათ, ისინი ამას ვერ მოითმენენ სახელის მოხვეჭისადმი ორგანიული სიძულვილის გამო და ისევ „ძმურ ნუგეშში“ და „იმედში“ იღწვიან მორცხვათ...

აი ამ სიმორცხვემ გადაჰხარა ჩემი სასწორი პატრიოტთა ესთეტიურ ლიგისაკენ და ამ რიგათ დაარღვია „შოთა რუსთველის ჯგუფ-პარტიასა“ და მე -14 №—ის შორის არსებული წონასწორობა!

მეც სწორეთ ამის გამო ვაცხადებ საჯაროთ და გადაჭრილათ:

— ხმას ვაძლევ არა მე-10 №-ს, არამედ მე-14-ს!

პეპელა

დეპუტატმა გვაზავამ... სახელი დამავიწყდა... გიორგი თუ ილია...
ჟორდანიას უყვარა პარლამენტის სხდომაზე: „შენ სტრუთობ! ტყუილია!“
ტრიბუნაზე აიჭრა და მიმართა ნოესა: „მე შენ ცილი დამწამე!...
პარლამენტმა გაგვსაჯოს: თუ ოქმი გამამტყუნებს... თუ ფაქტებმა დამცა მე,
პატიოსან სიტყვას ვდებ: პოლიტიკურ ასპარეზს ხელს ავაღებ სრულიად,
ოღონდ აგრევ მოიქცეს ნოეც, თუ არ გამართლდეს მისი სიტყვა მტრულია!“
ეს სთქვა და ჩამოფრინდა უზრუნველი პეპელა, ჟორჟ დე-პარი გვაზავა,
რომელმაც ოსმალეთთან სტამბოლში და ბათომში ჩვენ ტკბილათ ბაგვაზავა.
სახტად დავრჩით ყველანი. გულში ასე ვფიქრობდით: „ეს რა უყო ნოესა?
რა ამაყად გაცხარდა... სჩანს ყოვლად მართალია, წმინდა და სათნო ესა!...
არჩევანზე რომ მიდგეს ორში ერთის დათმობა: გვაზავას თუ ნოესი,
ისევ ნოე გადადგეს—უფრო კარგი იქნება და უსარწმუნოესი:
ჟორდანიას ბადალი სხვაც ბევრი იშოვება, ხოლო ჟორჟის ჭკუისა
თუ სხვა დაგისახელოს კიდევ ვინმემ მოღვაწე, მიჭარავს და სტყუისა!“
ასე ვსჯიდით ჩვენ, მაგრამ გაამტყუნა გვაზავა და დატუქსა ნოემ ის.
რა ჭნას ახლა? ბერანჟეს თარგმნა იწყოს მეგრულათ ლექსების და პოემის,
და პირობის თანახმათ პოლიტიკას გაშორდეს, მწარე ცრემლით ნამული,
პირად პატიოსნებას ერის ბედი ანაცვლოს. საქართველო, მამული?!
არასოდეს!... და ისევ პარლამენტში დასკუბდა ფრთა-ფარფატა პეპელა.
შეირგო და შეიტკბო ნოესაგან დაკრული ბარე ორი წკეპელა!
ყველგან უწრნდებურად დანავარდობს, დაფრინავს: სასახლეშიც, გარეც კი,
ეზოდან ერთი კარია, სადაც ვედარ შებრძანდა ეს ჩვენი „ზაგარეკი.“
მიადგება თუ არა იმ საწადელ შესავალს, ორ ხმლიან გუშაგის შვა,
გზას შეუკრავს ერთ-ერთი... ეტყვის: მოკვდეს ეს ბიჭი, ამ კარში თუ შაგიშვა!

ურემი რომ გადაგრუნდეგა...

(ოარი ყოფილი თავადის ბაასი)

— შვიდი ღა კნიაზ ყაფლან, შვიდი!

— შვიდი, კნიაზ იოთამ, შვიდი! ნორმაა, რალა, ნორმა. ის ხომერიკი კი წაიღოს ქორმა!

— მახლას, ჭკუავ! ტვინი სადა ჭქონდა იმ ჩვენი ცოდვით სავსე ნიკოლოზს, რომ ამოდენა გლეხებს უვიცობაში აარჩობდა და სკოლას არ აკარებდა!

— რასა ბრძანებ, კნიაზ იოთამ! ხომ არ გაგიჟდი, კაცო? ჯერ უსწავლელებმა რა გვიყვეს და ახლა სწავლა რომ მიეღოთ, მაშინ ხომ სულ დაგვლუპავდენ!

— ეჰ, ჩემო, ყაფლან! დაკვირვებული კაცი ვერა ჭყოფილხარ. განა გლეხებმა დაგვლუპეს! გლეხებმა კი არა, ნასწავლმა აზნაურებმა გამოგვჭრეს ყელები: აი, ჟორდანიამ, წერეთელმა, ჩხეიძემა... თორემ გლეხებისთვის რომ სწავლა მიგეცა, გაგიხარიან, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჭყეფდა.

— კაცო, ღმერთს გეფიცები შენი ვერა გავიგე რა. ერთი რიგიანათ ამიხსენი, და!

— აქ რა ახსნა გინდა, კნიაზო: ვინ არის ჩვენი, თავად-აზნაურების, ინტერესების საუკეთესო დამცველი?

— შენც ერთი, ეგზამენიას მიშვრები, რალა! „ბავშმაც კი იცის ვინ არის კაკო“. ვინა და ვეშაპელი!

— მერე ვინ არის ვეშაპელი?

— გლეხია თუ?

— ჩემმა ძზემ, ნამდვილი გლეხუკა: მაგისი პაპის შამა, ნიკიფორე ვეშაპიძე, ჩემი კნეინის პაპის შინა ყმა იყო.

— რას ამბობ, კაკო?

— ყაფლან ნუ მომიკვდება: მერე რად გვიკავს ეგრე თავ-გამოდებითი? იმად, რომ სწავლა მიუღია, ზრდილობა შეუთვისებია, ნამუსი გაუფაქიზებია, შეუგნია, რომ გლეხი მოვალეა თავის ბატონს ერთგულად ემსახუროს. ერთი სიტყვით შეგნებული გლეხი გამხდარა. უნივერსიტეტი კი რომ არ გაეთავებია, ამის მიხედვენა აბა სად ექნებოდა!

— ბიჭოს! ეგ კარგი რამ მითხარი, კნიაზ იოთამ! მაშ ჩვენი საქმე სულ დაღუპული არა ყოფილა: მოიცა ერთი, გატადეს საკალდებულო სწავლებაა თუ რაღაც დოზანა. ვინ იცის, როცა ყველა გლეხები ისწავლიან, იქნებ დაგვიბრუნონ კიდეც ღვთის მოცემული მიწა-წყალი!

— უთუოდ დაგვიბრუნებენ, უთუოდ, კნიაზ ყაფლან!.. ჯერ-ჯერობით კი...

— ჯერ-ჯერობით... შვიდი ღა, კნიაზ იოთამ შვიდი!..

— შვიდი, მაშ, კნიაზ ყაფლან! ნორსაა, რალა, ნორმა ის ხომერიკი კი წაიღოს ქორმა!

ოთარიანი.

თავადობა თუმც მოისპო, მაგრამ კვლავცა თავადურად,
ნაბდის ქულა მოხვეული სიცივის ყამს მოსაბურად
მიწვა ოთარ დაღვრემილი და მრისხანე ტახტის ყურად.
ქვემოდ გითხრათ ეგზომ მქისი და უუბრო იყო თუ რად.

მას ჩამოართვეს მამული ზემორე დღისა შვიდისა,
სახნავ-სათესი გამწვდომი სოფლიდან სოფლად კიდისა,
ტყე თვალუწვდენი, ულრანი, ტიეებით ჩასაზიდისა,
სათიბი, საიალალო, ზომით უფრორე დიდისა.

ვეღარ მიიღებს აწ იგი გლეხთაგან ურმით ღალასა,
თივის ბულულებს ვერ დასდგამს, ზვინად ვერ შეჰკრავს ჩალასა,
სამუშაოზე ვერ გარეკს გლეხს, ვერ დაატანს ძალასა,
აწ იტყვის: „ღმერთო! რათ მიმეც მე ამა ხათაბალასა!“

ოთარ დასჩაგრა კანონმა ერთობის მონაპოვარმან.
გული გაივსო ნაღველით, რაინდმა შეუპოვარმან,
იტყვის: „ვით მკადროს ამგვარი ლაქიამ, მუშამ, პოვარმან,
სოფლებში მქადაგებელმან ბიჭ ბუქმან ძუძუ მწოვარმან.

მეც გამოვნახავ პარტიას მალამოდ ჩემად წყლულისად,
მამულის დასაბრუნებლად წანართმევ-დაკარგულისად.
ეროვნულ დემოკრატებსა ვპოვებ მეგობრად გულისად,
ერთობის ხალხთა საჭიროდ და მაგვე საორგულისად.

მეორე მიმიჩნს ნომერი გულისა ჩემის ხატებად
წყლულისა მკურნავ მალამოდ, მიმზიდველ ანდამატებად,
მე ჩემთა ცოლ შვილთ ჩავრიცხავ ეროვნულ დემოკრატებად,
პარტიის საკეთილდღეოთ და მისად შესამატებად“.

ამა ტკბილსა ოცნებაში ოთარ ძილმან წარიტაცა.
ჰხედავს: ბრძოლას ნომრებისას, გრგვინავს, სჭექავს მიწაც, ცაცა
სულ ნომრებით აღჭურვილა სულდგმულია ქვეყნად რაცა,
ოთარც იბრძვის მხოლოდ ნომრით, ხმალსა ხელი არ იტაცა.

ისმის ფრენა ბარათების და ნაფრეწთა თოვლი ჰბარდნის,
მიწა თეთრით შეისუდრა, მზე ანათებს, თოვლი არ დნის-
მეორე სჩანს გამარჯვებით, ზუბრნი ხტიან არა დარდნით.
ოთარს გული აუტოკდა, შიშობს მისის გადმოვარდნით.

ერთობის ხალხნი დამარცხდნენ, ეგრედ ინება ზენამა,
გაავსო ყუთნი ყოველნი მეორე ნომრის დენამა,
გული ათრთოლდა ოთარის, თვალთ მარგალიტი ენამა.
სიხარული და ზეიმი ვერა გამოსთქვას ენამა.

უკვე დაუმხო მთავრობა და რესპუბლიკის წესები.
ნოე დაეცა. ქვეყანას ეუფლენ უკეთესები:
მეფედ გვაზავა შემოჯდა, ლექ-მარგალიტთა მთესები,
გრიგოლ და შალვა უსხედან ვით სახლთა უხუცესები.

ლაშქართა მწვრთნელად რეზო ჰყავთ, მის ხისა რევოლვერითა,
შიშით დაჰხოცნა ორგულნი მან მისის ლულის ღერითა,
განთავისუფლდა სამშობლო უკუნით ამიერითა,
ვითა შინაურ, აგრეთვე გარემოსეულ მტერითა.

ვაზირობს დიდი გერონტი, მართ ვითა გასაბედია,
„ჰხამს კაცი მასა დასჯერდეს, რასა ვის მისცემს ბედია“.
სჯულის საქმეში ინგილო უზომოდ ჩანახედია,
კანონმდებელობს თვით მეფე და სპირიდონი კედია.

მეღვინეთ უხუცესობა და ჭირნახულთა შენება
მიშოს მიანდვეს, მაჩაბელს, რაზოცა დაემშვენება.
კანონი დასდვა ისეთი, ვითა გულს მისას ენება:
--მიწა თავადებს, გლეხებს კი ნაყოფთა აღმოცენება.

მოლარეთ უხუცესობა, ვით არა მოუმცროსოსა,
ებოძა ყოვლად სახიერს, მაჭავარიანს სოსოსა.
იტყვის ჟამისა მიხედვით ან—„არა, არა—ჰო, ჰოსა“.
წვერნი მოუშვა სამღვდელო, თავი არ მოიქოსოსა.

წესები აღსდგა სიმტკიცით „პიტალო კლდეთა“ ძალისა.
სომეხნი ჩამოხრჩობილნი თვლითაც ვერ დაითვალვისა.
ჰხარობს და ლაღობს ოთარიც შიში არა აქვს ხვალისა,
ეზოსთან მოსდგენ ურმები უხვად მომრთმევი ღალისა.



გამოეგება ოთარი ყურთმაჯებ გადაგდებული.
ხელში აღიღო მათრახი, მუნ მოაჯირზე დებული.
დასჭყივლა გლეხთა ქარავანს ხმა რისხვით შედედებული.
ბევრმა სცნა გემოდ მათრახი, ბეჭებზე გადადებული.

ეტყვის: „რასა ჰგავს, მხეცებო, ეგე საქმენი თქვენია?
რასა ჰგავს თქვენი სიურჩე და თქვენი სიხარბენია?
მოგიხნავთ ადგილ-მამული და მინდორ ველი ჩვენია.
ბატონისათვის **სამ წილზედ** მეტი არ გამოგჩენია“.

გლეხთა მათ თავნი დაჰხარეს ნიშნად ღრმა მწუხარებისა.
კრძალვა აქვთ ოთარ ბატონის რისხვის და მქუხარებისა.
აღუთქვეს შეშის მორთმევა სათბობად ბუხარებისა,
აგრეთვე ჯოგი ღორების, ცხენ-ვირთა, თუ ხარებისა.



კვალად იხარებს ოთარი სიზმრითა შვება-სრულითა:
მოჰყავთ ერთობის ბიკები გლეხთ მკლავიო გაბაწრულითა.
სცემენ და იხსენიებენ მათ ასჯერ წყევა-კრულვითა.
სიხარულისგან ოთარი დაბნდების გადაკრულ ვითა.

მივარდის, დაჰკრის მათრახი მათ, ბაწრით შენაკრავებსა.
სისხლით მოურწყის ქოჩორი გიშრისა თმიან თავებსა.
გლეხნი შესტრფიან დიდ-ბატონს, ემსგავსებიან კრავებსა.
თვალნი დღეს აჰხილებიან ერთობით დანაბრმავებსა.

გლეხნი იტყვიან: „ბატონო! ჩვენ მარად გვმართებს მონება.
თავადი გლეხთან ვასწორდეს ეგ ვის სად გაეგონება!
არ გვინდა წესი ერთობის, არც არა მისგან ცხონება.
შენა ხარ ჩვენი ნუგეში, ჩვენი გული და გონება“.

ოთარი ეტყვის პასუხად: „მომწონს სიტყვათა კარგება,
გლეხს მორჩილება ბატონის აროდეს დაეკარგება“.
მათ ტყვეთა ეტყვის: „ორგულნო! თქვენ რისხვა მოგებარგება!
ეგ ურჩნი თავნი მხრებზედან სკან, ვითარ გება—არ გება“.



აქ კვალად ჰხედავს ოთარი სიზმარს ლხინ-შესამატებსა:
მოდიან გლეხთა ასულნი სახე მიუგავთ ხატებსა.
მოჰგვრიან გოჭსა, ინდოურს, ქათამს, იხვსა და ბატებსა.
ვაშლსა, მსხალსა და ყურძენსა, ჩურხელებს ვით კუბატებსა.

თავსა დაჰხრიან სიმორცხვით ლერწამნი ედემს რგულები.
ძრახვა არა აქვთ მათ გულში ოთარის საორგულები.
შორითგან ჰკრეტით ბნდემიან ან იმედ დაკარგულები...
ბზე მიდის, ეტყვის: „ხართ ჩემგან, ქალნო თქვენ დადაგულები.

მეამა თქვენგან ესოდენ უხვად მოტანა ძღვენისა,
დამახსოვრება სიტყვათა მგოსნისა შოთა ბრძენისა:
„რასაცა მომცემთ თქვენია, რაც არა—ჰკარგოთ თქვენ ისა“.
მიყვარს ასულთა საქმობა ბატონთა მოსალხენისა“.

ასულნი კრძალვით ეტყვიან მის ანგელოზის ენითა:
„შენა ხარ ჩვენი ღვთაება, ცეცხლი გვედების შენითა“.
ბორგავს და ტოკავს ნაბადში ოთარი ოხვრა-ქშენითა,
ახარებს მათი ალერსი ბროლ კბილთა გამოჩენითა.

საზმარი კვალად სიზმარს სცვლის ვით ზამთარს გაზაფხულობა:
ოთარს მოუდის მეფისგან ძვირფასი მოკაზმულობა:
ჩოხანი ეპოლეტებით, ებოძა ბოქაულობა.
„ქადასა შესქამს ყოველი, ოდეს გულს ექმნეს გულობა“.

ნობათსა ახლავს უსტარი, თვით მეფის დანაწერავი.
იტყვის გიორგი პირველი: „ოთარ შენა ხარ მზეერავი
სოფლისა ჩვენის არეთა და შვილთა ურჩთა მჭერავი.
შენი გვსმენია დიაცნიც ცემითა განაბერავი.

„აწ გაძლევ ბოქაულობას მამა ქალაქის, გორისად.
შენ მეყოლები მანდ ბურჯათ ამა ნომრისა ორისად.
იხმარდე ხმალს და რევოლვერს რევაზის ჩვენის სწორისად.
გლეხთა დაესხი, აიკლე, მსგავსად შევარდენ ქორისად“.

რა წაიკითხის უსტარი, ოთარ აჰღელდის მეტადა:
არ ეზოგება მას თავი მეფისთვის გასამეტადა,
წამოიზიდის უეცრივ. მკლავ მოღერილი კეტადა.
ცივს იატაკზე დაეცის თვალ ახელილი რეტადა.

შეჰხედის: არსად ურმები ძნებითა დატვირთულები.
არსად ერთობის მოყმენი გლეხთაგან გაბაწრულები,
არსად დიაცნი ტურფანი, ტკბილ სიტყვით მოქართულები
არც არსად შავნი ჩოხანი ეპოლეტ გადაკრულები.

ახლოდ ჰზის ცოლი თამარი, შვენებით მზისა დარია,
„სახალხო საქმეს“ კითხულობს, მის აზრთა მიმდევარია,
კვლავ „ოტაროვნა კეტუსი“, „ესერკად“ ნაცნობარია,
ვაჟი, სტუდენტი წლოვანი, ერთობის გზაზე მდგარია.

თავი დაჰხარა ოთარმან სევდითა დანატვირთავი,
იტყვის: „არ ღირს მყო ზენარმა აწ გავმხდარიყავ ჰრისთავი.
ოჯახი გადამირია: ვისი აბია ვის თავი,
ბედმან რა მიყო, შავბედმან, ვითარ მეწვია, ვით, ავი!

ქვეყანას, ნაცვლად მეფისა, კვლავ მართვენ ურწმუნოები,
სხვა და სხვა სახის, თუმცალა ყველა ერთთავად ნოები,
გლეხთა და მუშა ხალხისა საყვარელ სასათნოები,
აწ მომეახლა სიკვდილი და ჟამთა საღამოები.

გული გაუსკდა ოთარსა, ვერ დაიტივა ნაღველი,
სიბერის ჟამსა ვერ გახდა კვლავ დროთა ძველთა მნახველი...

შარადა

სამი გვყავს საქართველოში,
სამივე სახელოვანი
დიდი,
საშუალო,
პატარა,
(ჭაბუკი შავწვეროვანი).
მათ სეხნიასაც წინა დროდ
სახელი დიდი ჰქონია,
წარლვნის დროს ხალხის სახსნელად
გემ-სახლი მოუგონია.

დღეს მისდაგვარად ჩვენს საქმეს
ის სამი იცავს პირია,
ვისიც შარადის საგებად
მხოლოდ სახელი გვჭირია.
სახელიც სრულად არ გვინდა,
დე იყოს ბოლო კვეცილი...
(ვფიქრობ იპოვა ყოველმან,
ვინ არ ა პირდაბლეცილი!).

ეგ—საქართველოს ვაჟები.
აწ ინგლისისთვის მცალია:
მსურს ვაჟთა გვერდით სადგომათ
მე ბრიტანელი ქალია.

1919

ᲒᲕᲭᲘᲠᲘᲐ ᲘᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲓ
ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲔᲑᲘ,
(ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲬᲧᲠᲔᲜ
ᲕᲒᲠᲜᲔᲑ ᲖᲔᲛᲝᲠᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ)
ᲐᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲡᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ
ᲐᲠ ᲐᲙᲚᲓᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲡᲝᲪᲐ..
ᲘᲡ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ, ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲔᲗ
ᲧᲣᲠᲨᲘ ᲩᲐᲒᲔᲡᲛᲐᲡ ᲠᲐᲖᲝᲛᲪᲐ.

ᲐᲮ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ:
ᲡᲐᲓ ᲔᲜᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ,
ᲙᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲰᲙᲠᲗᲘᲡ ᲑᲠᲝᲚᲘᲡᲐ
ᲛᲝᲰᲙᲕᲔᲪᲔᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ
ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲕᲔ ᲞᲘᲠᲘᲗᲐ...
(ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ,
ᲐᲠ ᲐᲛᲝᲓ ᲒᲐᲘᲙᲕᲘᲠᲘᲗᲐ!)

ᲨᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲚᲐᲗ
ᲒᲐᲕᲨᲝᲠᲓᲔᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡᲐ,
ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲡᲘᲚᲡ
ᲙᲔᲙᲚᲣᲪᲡ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲤᲐ ᲐᲠᲔᲡᲐ.
ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘᲐ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲐᲓ
ᲮᲐᲔᲒᲠᲓᲘᲡ ᲙᲐᲑᲐ ᲰᲨᲕᲔᲜᲘᲐ,
ᲤᲔᲠᲐᲓ-ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲗ
ᲡᲐᲐᲛᲝᲓ ᲓᲐᲜᲐᲛᲨᲕᲔᲜᲘᲐ.
ᲒᲐᲝᲔᲛᲝ ᲑᲝᲚᲓᲔᲗ ᲢᲧᲔ ᲐᲑᲚᲐᲕᲡ,
ᲨᲝᲠᲡ ᲛᲝᲡᲘᲩᲐᲜᲡ ᲠᲘᲠᲘ ᲭᲐᲚᲘᲡᲐᲓ,
ᲨᲕᲐᲖᲔᲓ ᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲯᲘᲜᲗᲚᲐ
ᲤᲔᲠᲐᲓ ᲖᲣᲠᲜᲔᲑᲢ ᲓᲐ ᲚᲐᲚᲘᲡᲐᲓ.

ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲨᲐᲠᲐᲓᲐ
ᲝᲠ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲜᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲘ,
ᲭᲐᲚᲐᲭᲘᲡ ᲭᲣᲩᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲗᲐ
ᲡᲘᲬᲘᲗᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲘ.
ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲘᲛᲐᲡ ᲨᲔᲡᲢᲠᲤᲘᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ
(ᲡᲮᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲩᲐᲜᲩᲐᲚᲐᲐ
ᲓᲐᲐᲠᲡᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲮᲡᲜᲔᲑᲘ).
ᲒᲚᲔᲮᲘ ᲘᲛᲐᲮᲔᲓ ᲚᲝᲪᲣᲚᲝᲛᲡ,
ᲘᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲐᲓᲐ...
(ᲓᲐ ᲛᲐᲠᲚᲐᲪ ᲛᲐᲨᲕᲠᲐᲚᲗ ᲛᲝᲡᲐᲠᲩᲚᲔ
ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲝᲘᲒᲝᲗ ᲫᲜᲔᲚᲐᲗᲐ)
ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ ᲮᲝᲛ ᲡᲘᲧᲠᲛᲘᲗ
ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲜᲐᲖᲐᲠᲓᲘᲐ,
ᲔᲠᲗᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲭᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲮᲘᲜᲘ
ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲔᲑᲐ — ᲓᲐᲠᲓᲘᲐ.
ᲗᲣ ᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ
ᲔᲒ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘᲐ...
ᲙᲚᲐᲕᲐᲕ ᲒᲐᲛᲝᲫᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲝᲠᲝᲛᲓᲐᲜ
ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲢᲣᲠᲤᲐ-ᲛᲔᲚᲘᲐ.
ᲗᲣ ᲒᲐᲘᲐᲠᲯᲕᲐ (ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ
ᲔᲭᲕᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ)
ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ
ᲓᲐ ᲡᲘᲢᲙᲑᲝ ᲓᲐᲪᲕᲐᲠᲔᲑᲐ.
ᲛᲐᲨ ᲭᲙᲣᲘᲗ, ᲛᲝᲭᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ,
ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲡᲝᲕᲠᲝᲑᲗ ᲛᲯᲐᲓ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲐᲯᲐ,
ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ
ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲣᲠᲤᲐ **ᲨᲐᲠᲐᲓᲐ**.

ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲢᲔᲛᲐ.



ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ᲪᲕᲔᲜ ᲮᲛᲐᲡ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲛᲔᲝᲚᲔ ᲜᲘᲛᲔᲚᲡ!